ხელშეკრულება №57

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური **05 აპრილი 2023 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის დავით შარაშიძის სახით და მეორე **მხრივ, შ.პ.ს. ,,გეპა", საინ.კოდ 445506587** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისთვის კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შეძენა

N	დასახელება	განზ	რაოდ	ერთ ფასი	საერთ. ღირ	CPV
1	შეკვრა ელემენტების 5-ცალიანი GPPBL2032188 CR2032-CPU5 GP 4891199001147	ცალი	17	3	51	3144000
2	SA400S37/480G 480GB A400 SATA3 2.5 SSD (ვინჩესტერი-მყარი დისკი)	ცალი	1	135	135	30233132
3	თერმო პასტები და პადები Arctic MX-4 Thermal Paste 45g(ACTCP00024A)	ცალი	2	99	198	30200000
4	ელემენტი Maxell BATARY CR2032 4902580131258	ცალი	3	3	9	31440000
5	Cord Cabls EU plug power cord (personal comuter). Pure cupper 1.5m(კვების კაბელი)	ცალი	15	6	90	31330000

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **483 (ოთხასოთხმოცდასამი) ლარი.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.

6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2023 წლის 05 აპრილიდან 2023 წლის 05 მაისის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2023 წლის 05 აპრილიდან 2023 წლის 05 მაისის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 05 აპრილიდან 2023 წლის 05 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705
სახელმწიფო ხაზინა
მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შარაშიძე

chokhatauri municipality

Digitally signed by chokhatauri municipality
Date: 2023.04.05 14:46:22 +04'00'

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. ,,გეპა“
საინდ/კოდ 445506587
ს.ს. პროკრედიტბანკი
საინდ. კოდი MIBGGE22
ანგ. № GE92PC0033600100053916
დირექტორი:
გელა პატარაია

ინვოისი

კომპანიის ს/კ 445506587

თარიღი: 4/4/2023
ინვოისის №: 19520
გადახდის ვადა:

გადამხდელი: **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი**
საიდენტიფიკაციო კოდი: 242008705
მისამართი: ჩოხატაური წერეთლის 2

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	შეკვრა ელემენტების 5-ცალიანი GPPBL2032188 CR2032-CPU5 GP 4891199001147	ცალი	17	3.00	51.00
2	SA400S37/480G 480GB A400 SATA3 2.5 SSD	ცალი	1	135.00	135.00
3	თერმო პასტები და პადები Arctic MX-4 Thermal Paste 45g(ACTCP00024A)	ცალი	2	99.00	198.00
4	ელემენტი Maxell BATARY CR2032 4902580131258	ცალი	3	3.00	9.00
5	Cord Cabls EU plug power cord (personal comuter). Pure cupper 1.5m	ცალი	15	6.00	90.00
		ჯამი (GEL):	**38.00**		**483.00**

საბანკო რეკვიზიტები

მიმღები: შპს გეპა
ბანკის დასახელება: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი: GE92PC0033600100053916

ხელმოწერა

მიმწოდებელი და მისი მისამართი		**ინვოისი**
შალვა თავდგირიძე		**№59**
ქ. ბათუმი		
საიდენტიფიკაციო კოდი	61003001772	
მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტები		თარიღი
ს/ს "პროკრედიტ ბანკი"		4/4/2023
ბანკის კოდი		
ანგარიშის №		
გადამხდელი და მისი მისამართი		
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ჩოხატაური წერეთლის 2	*242008705*	
ბანკის კოდი		
ანგარიშის №		
ტვირთის მიმღები		
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ჩოხატაური წერეთლის 2	*242008705*	

№		რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	შეკვრა ელემენტების 5-ცალიანი GPPBL2032188 CR2032-CPU5 GP 4891199001147	17	4.00	68.00
2	SA400S37/480G 480GB A400 SATA3 2.5 SSD	1	136.00	136.00
3	თერმო პასტები და პადები Arctic MX-4 Thermal Paste 45g(ACTCP00024A)	2	100.00	200.00
4	ელემენტი Maxell BATARY CR2032 4902580131258	3	4.00	12.00
5	Cord Cabls EU plug power cord (personal comuter). Pure cupper 1.5m	15	6.00	90.00
		ხუთასექვსი ლარი და 0 თეთრი		***506.00***

ი/მ შალვა თავდგირიძე